საოცარი მატჩი, საოცარი ანგარიში

ლონდონი. (ტელეფონით). ინგლისის საფეხბურთო წრეები დიდი ინტერესით მოელოდნენ თბილისის "დინამოს" მატჩებს მათს სტადიონებზე. საქმე მხოლოდ იმაში არაა, რომ თბილისელთა გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია საბჭოთა კავშირში და მისი ფინალური მატჩის მიხედვით საუკეთესო ფორმაში იმყოფებოდა სწორედ ინგლისში გამგზავრების წინ. ბრიტანეთში ყოველთვის საგანგებო ყურადღებით ეკიდებიან სამხრეთის ქვეყნების ფეხბურთელებს, ვინაიდან მათთან შეხვედრები ყოველთვის რადიკალურად განსხვავებული სტილისა და სკოლების შეტაკებაა და როგორც აქაურ სპეციალისტებს უყვართ თქმა, ერთგვარ "სისხლის გადასხმას" წარმოადგენს ინგლისური ფეხბურთისათვის.

მაგრამ თბილისელთა პირველი გამოსვლა ინგლისში ნამდვილ გაწბილებას წარმოადგენდა აქაური საფეხბურთო სამყაროსათვის. სპორტული მიმომხილველები ათასგვარად ცდილობდნენ აეხსნათ "დინამოს" ასეთი ცუდი თამაში. ანალოგიად მოჰყავდათ იტალიის "ინტერნაციონალეს" წაგება ოდესაში, მიზეზად ასახელებდნენ დაღლილობას უაღრესად მძიმე ფინალური მატჩისა და დამქანცველი საჰაერო მგზავრობის შემდეგ და ა.შ.

მიუხედავად ამისა, დინამოელთა მატჩი "ვულვერჰემპტონ უონდერერსთან" კვლავ ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. ჯერ ერთი, ინგლისში კარგა ხანია შეეჩვივნენ მოულოდნელობებსა და სიურპრიზებს მწვანე მინდვრებზე, მეორეც - "ვულვერჰემპტონ უონდერერსი" უდიდესი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობს კუნძულებზე მაშინაც კი, როცა იგი ცუდ ფორმაში იმყოფება. მაგალითად მოარულია ასეთი გამოთქმა "ვულვერჰემპტონი" გადაგვარჩენს". ეს ნიშნავს, რომ თუ რომელიმე უცხოური გუნდი წარმატებით თამაშობს ინგლისში, მის წინააღმდეგ გამოჰყავთ "მგლები" და ისინი, როგორც წესი, იგებენ მატჩებს.

ინგლისელები იშვიათად, მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში ხვდებიან უცხოელებს საკუთარ მინდვრებზე "გვარდიული" შემადგენლობით და რახან თბილისის "დინამოს" წინაშე გამოჰყავთ ჩემპიონატის ორივე ლიდერი და თასის მფლობელი, მათთვის ქართველ ფეხბურთელთა ჩამოსვლა დიდი მოვლენაა.

"ვულვერჰემპტონ უონდერერსი" ინგლისში მიაჩნიათ ძალისმიერ, მკვეთრად მოთამაშე გუნდად, რომელიც ჩვეულებრივ თამაშობს განუწყვეტელი შეტევით, მაღალ ტემპში, ზუსტი გადაცემებით. მაგრამ გუნდის მწვრთნელმა ს. კულისმა ამას წინათ განაცხადა, რომ ეს მთლად სწორი არაა:

- ფიზიკური ძალა ჩვენ არასოდეს არა გვქონია პირველ პლანზე. - თქვა მან. - ჩემს გუნდში ვერ ნახავთ "მძიმე წონის" ფორვარდებს. მათი თამაში წარმოადგენს ინდივიდუალური ტექნიკისა და კოლექტიური შეთამაშების ნაყოფს, რომელიც დაფუძნებულია ტემპსა და აგრესიაზე.

აი ამ გუნდს შეხვდა 10 ნოემბერს თბილისის "დინამო" (შემადგენლობა: კოტრიკაძე; სიჭინავა, თორაძე, ჩოხელი; ვორონინი, იამანიძე; მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი).

თბილისელთა შეტევა პირველ წუთებში მოკრივის მიერ მძლავრად მოქნეულ დარტყმას ჰგავდა, მესხის სწრაფი გარღვევა დამთავრდა ბრწყინვალედ გატანილი გოლით, მაგრამ მასპინძელთა საპასუხო იერიშებისას ჩოხელმა კარის წინ დაუშვა შეცდომა, რომელიც ინგლისელებმა გოლით დაამთავრეს - 1:1.

მიუხედავად ამ დასანანი მარცხისა, თბილისელები წარმოუდგენელი აღმავლობით განაგრძობდნენ თამაშს და "მგლები" თითქმის მთელი შემადგენლობით გადავიდნენ დაცვაზე, სადაც მათს კართან განუწყვეტლივ ბობოქრობდა "დინამოს" მარცხენა ფრთა: ღოღობერიძე-მესხი, სადაც გათამაშდა მრავალი მახვილგონივრული კომბინაცია, სწრაფი გარღვევა, რომელთა შედეგადაც ინგლისელთა დაცვა ნამდვილ „ნოკდაუნში" იმყოფებოდა. შესვენებისათვის დინამოელები წინ იყვნენ ანგარიშით 3:1 (ორივე ბურთი გაიტანა ღოღობერიძემ).

მეორე ტაიმი დაიწყო "ვულვერჰემპტონის" იერიშებით და აქ მთელი თავისი ოსტატობა აჩვენა მეკარე კოტრიკაძემ. მაინც მე-14 წუთზე ინგლისელთა თავდამსხმელმა მიურეიმ გაიტანა მეორე გოლი - 2:3.

კვლავ დაიწყო თბილისელთა ხანგრძლივი, მძლავრი შტურმი, რომელშიც აქტიურად ჩაება მარჯვენა ფრთა და ნახევარმცველი იამანიძე. მალე მესხმა და ბარქაიამ ლოგიკური დასრულება მისცეს ამ შეტევებს და როცა მატჩის დამთავრებას აკლდა 12 წუთი, ანგარიში გახდა 5:2 "დინამოს" სასარგებლოდ.

ამ 12 წუთში "ვულვერჰემპტონ უონდერერსმა" დაამტკიცა, რომ მას ასეთ შემთხვევებშიც კი შეუძლია ინგლისური ფეხბურთის პრესტიჟის გადარჩენა. მასპინძლებმა თავდასხმაში გადაისროლეს

ყველაფერი, რაც კი მათ გააჩნდათ და მაქსიმალურად გამოიყენეს შეცდომები, რომლებსაც უშვებდნენ "დინამოს" მცველები თავიანთი კარის წინ. ზედიზედ იქნა გაქვითული ორი ბურთი, ხოლო 89-ე წუთზე იმავე მიურეიმ გაათანაბრა ანგარიში - 5:5.

ასეთი საოცარი ანგარიშით დამთავრდა თბილისის "დინამოს" მიერ თითქმის მოგებული მატჩი ინგლისის პროფესიული ფეხბურთის ერთ-ერთ უძლიერეს წარმომადგენელთან. 14 ნოემბერს თბილისელები თამაშობენ ლონდონში - "ტოტენჰემ ჰოტსპურთან".

რას წერენ ინგლისის გაზეთები

"ტაიმსი": "ეს იყო ყველაზე უფრო საპატიო ფრე "მგლებისათვის". ძნელი სათქმელია, რომ თბილისის "დინამო" ესაა იგივე გუნდი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ითამაშა "შეფილდ უენსდეისთან".

"დეილი ექსპრესი": "ინგლისს მრავალზე მრავალი გუნდი უნახავს, მაგრამ იშვიათად, რომ ვინმეს შეეძლოს უმაღლესი ტექნიკის ამგვარად გამოყენება ასეთ სისწრაფეში".

"დეილი ჰერალდი": "დინამოელები იცვლიდნენ ადგილებს განსაკუთრებული მოქნილობითა და ოსტატობით. მარჯვენა მცველმა ე. სტიუარტმა გადაიტანა 9 წუთის საშინელება, როცა მის წინააღმდეგ თამაშობდა ელვასავით სწრაფი მ. მესხი".

"ტაიმსი": "საკვირველია, მაგრამ ფაქტია: 5 ბურთის გამშვები მეკარე შესანიშნავი ფეხბურთელია".

"დეილი სკეტჩი": "ისეთი ფრთით, როგორიც "დინამოს" ჰყავს მარცხნივ, გუნდი შეიძლება შორს გაფრინდეს". ბარქაია უმაღლესი კატეგორიის ოსტატები არიან. მათ კანონზომიერი ადგილი ეკუთვნით საფეხბურთო ოლიმპოზე"

"დეილი ჰერალდი": "დინამოელებმა გვაჩვენეს გაცილებით მეტი ოსტატობა, ვიდრე მოველოდით მათგან. ეს საგანგაშო სიგნალია "ტოტენჰემისათვის".

გაზეთ "ლელოს" რედაქციის თხოვნით, ლონდონს ტელეფონით დაუკავშირდა და გაზეთების კომენტარებს ორგანიზაცია გაუკეთა "სოვეტსკი სპორტის" თანამშრომელმა, სპორტის ოსტატმა ა. ლეონტიევმა.

"ლელო", 13 ნოემბერი, 1960 წ.